



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



2131/3-106/22 2 10032022

2131/3-106/22

10-03-2022

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი ხედვა საქართველოს სამხედრო ძალების პირადი შემადგენლობის მოხალისეებით დაკომპლექტებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნის თაობაზე.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
ვლადიმერ ჩაჩიბაია



საქართველოს თავდაცვის მინისტრი



MOD 8 22 00297354

15.03.2022

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ ვლადიმერ ჩაჩიბაიას

ბატონო ვლადიმერ,

მიმდინარე წლის 10 მარტის თქვენი N2131/3-106/22 წერილის პასუხად გაცნობებით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოხალისეთა პოტენციალის გამოყენებას, როგორც კრიზისული და პოსტკრიზისული სიტუაციების გამოწვევების დასაძლევად, ასევე საომარი მდგომარეობის დროს. მოხალისეთა პოტენციალის გამოყენების მიზნით, განხორციელდა ინსტიტუციური რეფორმა და თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი შეიქმნა მოხალისეთა ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახური. ამასთან, მოხალისეობის საკითხი ასახულია თავდაცვის კოდექსის პროექტშიც, რომელიც ეხება მოხალისეობის არსს, მოხალისის უფლებებს, მოვალეობებსა და მათ სოციალურ დაცვას, მომზადებას, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მხარდაჭერას და სამინისტროს უფლებამოსილებებს ამ სფეროში. მოხალისეთა სამხედრო და კრიზისული სიტუაციებისათვის მომზადება გულისხმობს მათ მომზადებას საინჟინრო, სამედიცინო, ლოჯისტიკურ და სხვა საკითხებში. ასევე, საომარი მდგომარეობის დროს, მოხალისეთა წრიდან თავდაცვის ძალების დაკომპლექტება განხორციელდება მობილიზაციის სისტემის თანახმად, მათი შესაბამისი მომზადების გათვალისწინებით.

დანართის სახით წარმოგიდგენთ თავდაცვის კოდექსის პროექტის შესაბამის თავს თავდაცვის სფეროში მოხალისეობათა დაკავშირებით.

დანართი: „ნ“ ფურცელი.

პატივისცემით,



მმართველობა
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
ლელა ჩიქოვანი



თავი XVI თავდაცვის სფეროში მოხალისეობა

მუხლი 166. მოხალისეობის არსი

1. თავდაცვის სფეროში მოხალისეობა არის ამ კოდექსითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ორგანიზაციული მოწესრიგების ფარგლებში ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ცოდნითა და უნარით, ნებაყოფლობით და უანგაროდ თავდაცვის სფეროში განხორციელებული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა (მოხალისეობრივი საქმიანობა) და დახმარების გაწევა.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს თავდაცვის სფეროში მოხალისეობას.

3. მოხალისეობა არ გულისხმობს ანაზღაურებადი სამუშაოს ჩანაცვლებას და არ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც იაფი მუშახელის წყარო.

4. საომარი მდგომარეობის დროს, თავდაცვის ძალების მოხალისეებით დაკომპლექტება, მათი შესაბამისი მომზადების გათვალისწინებით, ხორციელდება „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 167. მოხალისეობრივი ურთიერთობა

1. მოხალისეობრივი ურთიერთობა არის მოხალისისა და თავდაცვის სფეროში მოხალისეთა ორგანიზაციის (შემდგომ - მოხალისეთა ორგანიზაცია) ურთიერთობა, რომელიც ამ კოდექსისა და მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ხორციელდება.

2. თავდაცვის სფეროში მოხალისის (შემდგომ - მოხალისე) სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც დარეგისტრირდება თავდაცვის სფეროში არსებულ მოხალისეთა რეესტრში (შემდგომ - მოხალისეთა რეესტრი).

3. მოხალისე შეიძლება იყოს პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს არ შეუშლის მოხალისეობრივი საქმიანობის ან/და დახმარების განხორციელებას და რომელიც მზად არის, თავისი ცოდნისა და უნარების გამოყენებით, ნებაყოფლობით განახორციელოს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობა.

4. მოხალისე, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი გამონაკლისისა შეიძლება იყოს ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს.

5. 18 წლამდე არასრულწლოვანი მოხალისეობრივ ურთიერთობას ახორციელებს თავისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის ორგანოს/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ მოხალისეობრივი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას.

6. მოხალისეს უნარჩუნდება უმუშევრის სტატუსი. მას უფლება აქვს, ისარგებლოს იმ შეღავათითა და დახმარებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით უმუშევართათვის არის გათვალისწინებული.

7. მოხალისეობრივი ურთიერთობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობისთვის თავის ასარიდებლად.

მუხლი 168. სამინისტროს უფლებამოსილებები თავდაცვის სფეროში მოხალისეობათან დაკავშირებით

1. სამინისტრო უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელი შეუწყოს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო სამსახურის პოპულარიზაციას;

ბ) უზრუნველყოს დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის სამხედრო-პატრიოტული და სალაშქრო ღონისძიებების გატარება, სამხედრო-ისტორიული თემატიკის მომზადება;

გ) შესაბამის ორგანიზაციას მიაწოდოს თავდაცვის სფეროში მოხალისეთა ორგანიზაციის სტატუსი;

დ) გაუფორმოს მემორანდუმი მოხალისეთა ორგანიზაციას;

ე) მოხალისეთა ორგანიზაციაზე, კონკრეტული მიზნების მიღწევისათვის, გასცეს გრანტი;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაატაროს ღონისძიებები, რათა მოხალისეთა ორგანიზაციამ/მოხალისემ ისარგებლოს სამინისტროს ბალანსზე არსებული ქონებით, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგოს ქონება;

ზ) წლიური საბიუჯეტო კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სამინისტრო უფლებამოსილია:

ზ.ა) უზრუნველყოს მოხალისის სამედიცინო მომსახურება და რეაბილიტაცია თუ მოხალისის ჯანმრთელობა გაუარესდა მომზადების/სწავლების, ასევე უშუალოდ მოხალისეობრივი საქმიანობის ან/და დახმარების განხორციელებისას;

ზ.ბ) თავდაცვის სფეროში მოხალისეთა სისტემის განვითარების მიზნით, მოხალისეთათვის უზრუნველყოს სპორტული და სასწავლო სივრცეების ფუნქციონირება, საგანმანათლებლო კურსების დაგეგმვა;

ზ.გ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მოხალისეთა ორგანიზაციის წევრი ან/და მოხალისე კვებით, განთავსებითა და ტრანსპორტირებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ უფლებამოსილებას სამინისტრო ახორციელებს იმ შემთხვევაში თუ ღონისძიებება, მომზადება/სწავლება, ასევე მოხალისეობრივი საქმიანობა ან/და დახმარება დაგეგმილი არის/იყო სამინისტროს მიერ.

3. მოხალისეთა მომზადებას/სწავლებას, აგრეთვე მათ მიერ გასატარებელ მოხალისეობრივ საქმიანობასთან ან/და დახმარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს კოორდინაციას უწევს სამინისტრო.

4. სამინისტრო უფლებამოსილია მოხალისეზე გასცეს მოხალისის დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 169. მოხალისეთა ორგანიზაცია

1. თავდაცვის სფეროში მოხალისეთა ორგანიზაციას წარმოადგენს ის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ მიენიჭება თავდაცვის სფეროში მოხალისეთა ორგანიზაციის სტატუსი.

2. მოხალისეთა ორგანიზაცია უნდა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომელიც განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. მოხალისეთა ორგანიზაცია:

ა) თავდაცვის სფეროში მოხალისისათვის საბაზისო უნარების ჩამოყალიბების მიზნით, უზრუნველყოფს მოხალისის მომზადებას;

ბ) ხელს უწყობს მოხალისის თვითორგანიზებას;

ბ.ა) ტერიტორიული პრინციპით;

ბ.ბ) კვალიფიკაციიდან ან/და სპეციალური უნარებიდან გამომდინარე ან სხვა ნიშნით;
გ) ხელს უწყობს მოხალისის მოხალისეთა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრებას;
დ) უფლებამოსილია დაგეგმოს და განახორციელოს სიმულაციური ვარჯიშები, მომზადება, სავლე სწავლებები, საწვრთნელი შეკრებები, სხვა ღონისძიებები და წამახალისებელი პროექტები;

ე) უფლებამოსილია დასახული მიზნების მისაღწევად ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფო უწყებებთან, მუნიციპალიტეტებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

ვ) უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ისარგებლოს სამინისტროს ბალანსზე არსებული ქონებით;

ზ) ვალდებულია იზრუნოს მოხალისის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

4. მოხალისეთა ორგანიზაცია, თავდაცვის სფეროში მოხალისეობის მიზნების მიღწევის მიზნით, უფლებამოსილია მიიღოს გრანტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.

5. მოხალისეთა ორგანიზაცია ვალდებულია მოხალისეობრივი ურთიერთობის დაწყებამდე მოხალისეს განუმარტოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

6. მოხალისეთა ორგანიზაცია ამ კოდექსით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სამინისტროსთან შეთანხმებით.

7. მოხალისეთა ორგანიზაცია ვალდებულია მესამე პირს აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც პირს მოხალისის მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის ან/და დახმარების განხორციელებისას მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიაღდა.

8. მოხალისეთა ორგანიზაცია ვალდებულია მოხალისეს აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც მას მოხალისეთა ორგანიზაციის ეგიდით დაგეგმილი მომზადების/სწავლებების, ასევე მოხალისეობრივი საქმიანობის ან/და დახმარების განხორციელებისას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მიაღდა, აგრეთვე სამედიცინო მომსახურებისათვის აუცილებელი ხარჯები.

9. თავდაცვის სფეროში მოხალისეთა ორგანიზაციის სტატუსი გაუქმებაზე გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო.

მუხლი 170. მოხალისეთა რეესტრი

1. პირის მოხალისეთა რეესტრში დარეგისტრირებას უზრუნველყოფს სამინისტრო.

2. მოხალისეთა რეესტრის წარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის (შემდგომ - მოხალისეთა ელექტრონული სისტემა) მეშვეობით.

3. მოხალისეთა აღრიცხვის მიზნით, მოხალისეთა ელექტრონულ სისტემაში შეიტანება პირთან დაკავშირებული შემდეგი მონაცემები:

ა) საიდენტიფიკაციო მონაცემები - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, რეგისტრაციისა და საცხოვრებელი მისამართები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტოსურათი, ასევე ინფორმაცია მოქალაქეობის შესახებ;

ბ) ფიზიკური მახასიათებლები - სისხლის ჯგუფი, სიმაღლე, წონა, ფეხის და თავის ზომა;

გ) ინფორმაცია პირის განათლების, კვალიფიკაციის, უნარების, განსაკუთრებული ნიჭისა და სამუშაო გამოცდილების, სპეციფიკური საქმიანობისა და დასაქმების შესახებ;

დ) პირის მიერ სამხედრო, სარეზერვო სამხედრო, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის, საბრძოლო მოქმედებებში და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისა და ვეტერანის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაცია;

ე) ინფორმაცია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

4. მოხალისეთა რეესტრში დარეგისტრირებისა და მოხალისეთა რეესტრიდან ამორიცხვის წესი, აგრეთვე მოხალისეობრივი საქმიანობის ან/და დახმარების ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება თავდაცვის სფეროს მოხალისეთა წესდებით, რომელსაც მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

5. მოხალისეთა ორგანიზაცია ხელს უწყობს სამინისტროს მოხალისეთა რეესტრის ფორმირებისათვის.

6. ამ თავით გათვალისწინებული პერსონალური ინფორმაციის დამუშავება (შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, ან გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება) ხორციელდება:

ა) მხოლოდ მოხალისეთა აღრიცხვის, გამოძახების, მომზადების, აგრეთვე სტატისტიკის წარმოების მიზნით, იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია კანონიერი მიზნის მისაღწევად;

ბ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 171. მოხალისის უფლებები, მოვალეობები და სოციალური დაცვა

1. ეს კოდექსი არ ზღუდავს მოხალისის უფლებას, ისარგებლოს იმ უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც მას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული.

2. მოხალისე უფლებამოსილია:

ა) ისარგებლოს ამ კოდექსითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი სოციალური გარანტიებით;

ბ) მოხალისეთა ორგანიზაციასთან დადებული მოხალისეობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას ისარგებლოს ამ ორგანიზაციის ქონებით.

3. მოხალისე ვალდებულია:

ა) თავისი საქმიანობა განახორციელოს სამართლებრივი და ეთიკური პრინციპებისა და მოხალისეთა ორგანიზაციასთან დადებული შეთანხმების შესაბამისად;

ბ) მოხალისეთა ორგანიზაციას დროულად მიაწოდოს ინფორმაცია იმ საფრთხისა თუ რისკის შესახებ, რომელიც შეიძლება მოხალისეთა ორგანიზაციასთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებამ გამოიწვიოს;

გ) იზრუნოს სამინისტროს ან/და მოხალისეთა ორგანიზაციის ქონებაზე, რომელსაც იგი თავისი საქმიანობის განხორციელებისას იყენებს;

დ) მოხალისეთა ორგანიზაციას დროულად აცნობოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან სხვა ისეთი ვითარების შესახებ, რომელიც მას ხელს უშლის მოხალისეთა ორგანიზაციასთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში.

4. სამინისტროს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, მომზადების/სწავლებლების, ასევე მოხალისეობრივი საქმიანობის ან/და დახმარების განხორციელებისას, მოხალისის

დაჭრა/დასახიჩრების ან დაღუპვის შემთხვევაში მასზე/მისი ოჯახის წევრზე ვრცელდება ამ კოდექსითა და სხვა სამართლებრივი აქტებით სამხედრო მოსამსახურისათვის ასეთ შემთხვევებისათვის დაწესებული სოციალური გარანტიები.

5. მოხალისის ქმედებით მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოხალისემ აღნიშნული ქმედება განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიდინა. მოხალისე ვალდებულია აანაზღაუროს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი.

6. მოხალისის მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია გასცეს მოხალისის შესახებ ცნობა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მოხალისის მიერ განხორციელებული საქმიანობის და მისი განხორციელების ხანგრძლივობის თაობაზე.

7. სასწავლებელი/დამსაქმებელი ვალდებულია მოხალისეს მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელების გამო გაცდენილი დრო, წელიწადში არაუმეტეს ხუთი დღისა ჩაუთვალოს საპატიოდ.

მუხლი 172. ხარჯების ანაზღაურება

1. სამინისტროს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, მომზადების/სწავლებების, ასევე მოხალისეობრივი საქმიანობის ან/და დახმარების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მოხალისის მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია აუნაზღაუროს მას გაწეული აუცილებელი ხარჯები, მათ შორის:

ა) საკონსულო მომსახურების (შესაბამისი ვიზის გაფორმების, ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების) ხარჯები;

ბ) მგზავრობის ხარჯები;

გ) საცხოვრებლის დაქირავების (ადგილის დაჯავშნის და ცხოვრების) ხარჯები;

დ) კვების, კომუნიკაციისა და სადღეღამისო ხარჯები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მოხალისეთა ორგანიზაციას თუ ღონისძიებება, მომზადება/სწავლებება, ასევე მოხალისეობრივი საქმიანობა ან/და დახმარების განხორციელება დაგეგმილი იყო მის მიერ.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება არ ცვლის მოხალისეობის უანგარო ხასიათს.

მუხლი 173. მოხალისის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. სამინისტრო/მოხალისეთა ორგანიზაცია ვალდებულია მომზადების/სწავლებების დროს, ასევე მოხალისეობრივი საქმიანობის ან/და დახმარების განხორციელებისას მოხალისე უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოთი.

2. სამინისტრო/მოხალისეთა ორგანიზაცია ვალდებულია მოხალისეს დროულად, გონივრულ ვადაში, გასაგები ფორმით მიაწოდოს სრული, ობიექტური ინფორმაცია ყველა ფაქტორის შესახებ, რომლებიც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე მოქმედებს.

3. სამინისტრო/მოხალისეთა ორგანიზაცია ვალდებულია დაწერგოს მოხალისის უსაფრთხოების უზრუნველყოფი პრევენციული სისტემა და მოხალისეს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებების თაობაზე, საფრთხის შემცველი აღჭურვილობისადმი მოპყრობის წესების შესახებ, აგრეთვე აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს მოხალისე პერსონალური დამცავი აღჭურვილობით და მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა

მოხალისის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

მუხლი 174. მოხალისეობრივი ხელშეკრულება

1. მოხალისესთან მოხალისეობრივი ხელშეკრულება (ამ თავის მიზნებისათვის შემდგომ - ხელშეკრულება) იდება მოხალისეთა რეესტრში მისი დარეგისტრირების შემდეგ.

2. ხელშეკრულება იდება წერილობით, განსაზღვრული ვადით ან საქმიანობის განხორციელების ვადით.

3. მოხალისესთან ხელშეკრულებას, სამინისტროსთან შეთანხმებით, დებს მოხალისეთა ორგანიზაცია.

4. ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. ხელშეკრულება შეიძლება რამდენიმე ენაზე დაიდოს. თუ, ხელშეკრულება რამდენიმე ენაზე იდება, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულების დებულებათა შორის განსხვავების შემთხვევაში.

5. ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს მოხალისის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის სახე, მისი განხორციელების ხანგრძლივობა და ადგილი, არსებობის შემთხვევაში – მოხალისის სტატუსთან დაკავშირებული შეღავათები, აგრეთვე მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

6. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ხელშეკრულების ვადის გასვლა;

ბ) მოხალისის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის სრულად განხორციელება;

გ) ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების უხეში დარღვევა;

დ) მხარეთა შეთანხმება;

ე) მოხალისეთა ორგანიზაციის მიერ ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;

ვ) მოხალისის გარდაცვალება;

ზ) სხვა ისეთი გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მოხალისის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

მუხლი 175. მოხალისის საქმიანობის დრო

1. მოხალისის საქმიანობის დროის ხანგრძლივობა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება და აღინიშნება ხელშეკრულებაში.

2. 18 წლამდე მოხალისის საქმიანობის დროის ხანგრძლივობა კვირაში 36 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

მუხლი 176. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მხარდაჭერა

1. თავდაცვის სფეროს მოხალისემ შესაძლებელია მოხალისეობრივი საქმიანობა ან/და დახმარება განახორციელოს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხორციელდება სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეთანხმებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთობლივად ახორციელებენ შესაბამის მომზადებას/სწავლებას.